პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 19 დეკემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

289 (987)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სხ. 4 გვ. 40 კ.

## 1905 წლის რევოლიუცია.

დღეს 1905 წლის რევოლიუციის დღეა.

ოცი წლის წინად რუსეთის მთელი იმპერია შეირყა მუშათა კლასის და გლეხობის რევოლიუციონურ მოძრაობით. პირველად რუსეთის მშრომელმა ხალხმა აღმართა რევოლიუციის დროშა და შეუტია მტარვალ თვითმპყრობელობას, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სტანჯავდა და ჩაგრავდა მას.

1905 წლის რევოლიუცია დაიწყო სისხლიანი 9 იანვრით. 9 იანვრამდე კიდევ სწამდათ მუშებს, რომ მეფე თითქოს მოწყალე და ხალხის დამხმარეა. მაგრამ 9 იანვრის ტყვიებმა სამუდამოთ აუხილეს მათ თვალები. ხალხმა შეიგნო, რომ მისი დაუძინებელი, უსაშინელესი მტერი ბურჟუაზიასთან ერთად არის დახავსებული თვითმპყრობელობა. და აი მოთმინებიდან გამოსული, გაწამებული მუშურ-გლეხური მასები ეკვეთენ თავის საუკუნოებრივ მტერს. გაფიცვებ მოედო მთელ რუსეთს. გაფიცვებს მოყვა რევოლიუციონური დემონსტრაციები, მიტინგები, პროტესტები, ხოლო შემდეგ აღიმართენ ბარიკადები და გაიმართა სისხლის მღვრელი ბრძოლა.

გამარჯვებული მაინც თვითმპყრობელობა გამოვიდა. მუშების და გლეხების პირველი ცდა დამარცხდა. მაგრამ მუშათა კლასის ეს დამარცხება მომავ ლი ბრწყინვალე გამარჯვების საძირკველი გახდა.

ამაშია 1905 წლის რევოლიუციის უდიდესი მნიშვნელობა. პირველი რევოლიუცია დამარცხდა იმიტომ, რომ მუშათა კლასი ვერ იყო კარგად დარაზმული, მას სუსტი კავშირი ქონდა გლეხობასთან, რომელიც სრულიად არ იყო შეკავშირებული. ბურჟუაზია, რომელიც რევოლიუციის დაწყებამდე, თითქოს, ებრძოდა თვითმპყრობელობას, რევოლიუციის დაწყების შემდეგ გადავიდა მეფის მხარეზე. ყოველივე ამან გამარჯვების სასწორი თვითმპყრობელობის სასარგებლოთ გადახარა.

როცა დამარცხდა 1905 წ. რევოლიუცია, მენ შევიკებმა და სხვა შემთანხმებელ პარტიებმა დაიწყეს წუწუნი იმის შესახებ, რომ რევოლიუცია სამუდამოთ დამარცხდა და ამიერიდან შეიარაღებულ აჯანყებაზე ხელი უნდა აიღოს მუშებმა და გლეხებმაო.

მაგრამ სულ სხვა რამესკენ მოუწოდებდენ ბოლშევიკები მშრომელთ. რევოლიუცია დამარცხდა დროებით. საჭიროა 1905 წლის რევოლიუციის გამოცდილების კარგად შესწავლა, მისი შეცდომების და მიღწევების შეთვისება და მომავალ შეიარაღებულ აჯანყების დროს ჯეროვანად გამოყენება. რუსეთის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა გაყვა ბოლშევიკების მიერ ნაჩვენებ გზას. და კიდევაც, 1917 წლის ოქტომბერში კომპარტიის მეთაურობით მან კვლავ აღმართა აჯანყების წითელი დროშა და სამუდამოთ გაიმარჯვა.

1905 წელში დაწყებული საქმე 1917 წლის ოქტომბერმა ბრწყინვალედ დაასრულა.

## სამხედრო მოსამსახურეთა ჯამაგირების ახალი განაკვეთი.

თანახმად საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანებისა 1925 წლის პირველ დეკემბრიდან მომატებულია სამხედრო მსახურთა ჯამაგირები 19 ხარისხიანი ქსელის მიხედვით.

მაგალითად: მე-6 ხარისხის თანამდებობის სამხედრო მსახური—საქმის მწარმოებელი ღებულობს—38 მანეთს; მე-7 ხარ.—ოცეულის უფროსი—60 მანეთს; მე-8 ხარ. ასეულის უფროსის თანაშემწე—65 მანეთს; მე-9 ხარ. ასეულის უფროსი—70 მანეთს; მე-10 ხარ. ცალკე ასეულის უფროსი—75 მანეთს; მე-11 ხარ. ათასეულის უფროსი—80 მანეთს; მე-12 ხარ. ლეგიონის უფროსის თანაშემწე—85 მანეთს; მე-13 ხარ. ლეგიონის უფროსი—110 მანეთს.

პირველ დეკემბრიდანვე ისპობა საოჯახო ულუფა და აგრეთვე მისი სამაგიერო კომპენსაცია ფულით.

სამხედრო მსახურთ, 13-დან 19 ხარისხამდე ჩათვლით ესპობათ ნატურალური ულუფა და აგრეთვე მისი სამაგიერო კომპენსაცია ფულით. მე-13 ხარისხს ქვეით ე. ი. 12 ხარისხიდან დაწყებული ენახებათ ნატურალური ულუფა ან მისი სამაგიერო კომპენსაცია.

საბინაო-კომუნალური ფულები ეძლევათ: მე-7 ხარისხიდან მე-13 ხარისხამდე გამოკლებით ათ-ათი მანეთი; მე-13 ხარისხის თანამდებობის პირს—20 მანეთი.

# ახალი რადიო-ამბები

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### იაპონია აძლიერებს თავის ძალებს მანჯურიაში.

—

### ფინ-იუი-სიანი სცდილობს ალყა შემოარტყას ტიან-ცზინს.

—

### ინგლისი ეხმარება ჩან-ძო-ლინის მომხრეებს.

— იაპონიის მთავრობას განზრახული აქვს გააძლიეროს თავისი ჯარები მანჯურიის სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის ადგილებში. ახალი ჯარები გაგზავნილ იქნება კორეადან.

— ფინ-იუი-სიანის ჯარები წინ მიიწევენ და სურთ ალყა შემოარტყან ტიან-ცზინს. ლი-ჩინ-ლინი აფეთქებს ხიდებს, რათა ხელი შეუშალოს ფინ-იუი-სიანის ჯარების წინსვლას.

— ხონანის ჯარებმა დაიწყეს მოქმედება იან-სი-შანის ჯარების წინააღმდეგ.

— ინგლისი დახმარებას უწევს ჩან-ძო-ლინის მომხრეებს. ინგლისის ჯარები თავს იყრიან ტიან-ცზინში ლიჩი-ლინზე დასახმარებლად.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამის შესახებ შეკითხვა გაუგზავნა ინგლისის რწმუნებულ მაკლეის, მაგრამ მან განაცხადა, რომ ცნობები ჯარების გადაჯგუფების შესახებ არაა მართალიო.

## გერმანია უმთავრობოდ.

დღემდი არ იქმნა და არ მოხერხდა მთავრობის შედგენა გერმანიაში. ამ უკანასკნელად მთავრობის შედგენა მიენდო დემოკრატიულ (იგივე ბურჟუაზიული) პარტიის ბელადს კოხს. ამ უკანასკნელმა ბევრი სცადა, მაგრამ ვერრას გახდა. კოხმა უარი განაცხადა მთავრობის შედგენაზე.

## უმუშევრობის ზრდა გერმანიაში.

გერმანიის ყველა სამრეწველო ცენტრებიდან მოდის ცნობები უმუშევრობის ზრდის შესახებ. ნოემბრის თვის მეორე ნახევარში უმუშევრების რიცხვი, რომლებიც დახმარება იღებენ გაიზარდა 471.000-დან 665.000-მდე. მომავალში როგორც მთავრობა იტყობინება უმუშევართა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ამ ნიადაგზე დღითიდღე ძლიერდება უმუშევრების მოძრაობა.

რამოდენიმე ქალაქში უკვე ადგილი ქონდა უმუშევართა დემონსტრაციებს.

## ბურჟუაზიული ჭორები.

საზღვარგარეთელი, განსაკუთრებით ინგლისური გაზეთები ავრცელებენ ხმებს, თითქოს საბჭოთა კავშირი აგროვებდეს ჯარებს მანჯურიის საზღვარზე და აწარმოებდეს საომარ მზადებას შორეულ აღმოსავლეთში; ეს ხმები ცხადია, ყოველგვარ სინამდვილეს მოკლებულია, ვინაიდან საბჭოთა კავშირს, პირიქით, სურს განამტკიცოს კეთილი ურთიერთობა აღმოსავლეთის მეზობლებთან და, კერძოდ, იაპონიასთან.

## „პური და სამუშაო!“

პოლონეთის დედაქალაქში მოხდა უმუშევრების ორი დემონსტრაცია. დემონსტრაციის მონაწილენი ყვიროდენ: „პური და სამუშაო! ძირს კოალიციური მთავრობა. ძირს ბურჟუაზია“. პოლიციამ გაფანტა დემონსტრატები.

ასეთივე დემონსტრაციები შესდგა პოლონეთის მეორე ქალაქში ვარშავაში.

## ამხ. ჩიჩერინი საფრანგეთში.

16 დეკემბერს ამხ. ჩიჩერინს თათბირი ჰქონდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბარტელოსთან.

17 დეკემბერს ჩიჩერინი გამოემგზავრა პარიზიდან.

## რიზა ხანი სპარსეთის ტახტზე.

რიზა-ხანი ოფიციალურად ავიდა სპარსეთის ტახტზე. ელიან ახალი კაბინეტის დანიშვნას. ინგლისმა ოფიციალურად იცნო ახალი ხელისუფლება. ტახტზე ასვლის გამო რიზა ხანი და ინგლისის მეფე მიესალმნენ ერთმანეთს ტელეგრამებით. რიზა ხანის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს იურენევს, რომ მთავრობა თანახმაა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამაღლებულ იქმნას ელჩის თანამდებობით.

## მე-XIV პარტყრილობა.

### მოსკოვში ჩავიდა ყველა დელეგაციები.

მოსკოვში, მე-XIV პარტიულ ყრილობაზე ჩავიდენ დელეგაციები საბჭოთა კავშირის ყველა პარტორგანიზაციებიდან. შეიკრიბა სულ 1.253 დელეგატი. მათ შორის 651 დელეგატი გადამწყვეტი ხმითაა და 602—სათათბირო ხმით.

ყრილობის სახელზე მიდის მრავალი მისალმების დეპეშები.

## ნავთის ნაწარმოების გატანა

1925 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საზღვარგარედ გატანილ იქნა 13 მილიონ ნახევარი ფუთი ნავთის ნაწარმოები იმ დროს, როცა გასული წლის იმავე ვადაში გატანილ იქნა 8 მილიონი ფუთი. ამ რიგად ნავთის ნაწარმოების გატანა გაზრდილა 70 პროც.

---

შაბათს, 19 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათისთვის, სახელმწიფო ოპერის შენობაში მოწვეულია ტფილისის მ. გ. და წ. არმ. დეპუტატთა საბჭოს საზეიმო სხდომა, საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომების წარმომადგენლების მონაწილეობით, 1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავის აღსანიშნავად.

საზეიმო სხდომაზე მოწვეულნი არიან ამ.-კავკასიისა და საქართველოს ცაკის წევრები.

დღის წესრიგშია: ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება „1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავი“.

მოხსენების შემდეგ წარმოდგენა.

საბჭოს თავმჯდომარე სუხიშვილი.

---

ორშაბათს, 21 დეკემბრის საღამოს 6 საათისთვის, წითელი თეატრის შენობაში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში) მოწვეულია ტფილისის საბჭოს მორიგი სხდომა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) ტფილისის აღმასკომის 1925—1926 საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის განხილვა.

2) მოხსენება ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის შესახებ.

3) მიმდინარე საქმეები.

1925—1926 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ მასალების მიღება საბჭოს წევრებს შეუძლიათ აღმასკომის სამდივნოში (მე-5 ოთახში, ამხ. ცქიტიშვილთან).

საბჭოს ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

# მუშათა კლასის განთავისუფლების საქმე დაიწყო 1905 წ. რევოლიუციამ, ხოლო ბრწყინვალე გამარჯვებით დაასრულა ის დიდმა ოქტომბერმა.

## 1905 წლის რევოლიუცია და წითელი არმია.

წითელი არმიის ბრძოლისადა აღმშენებლობის ისტორიას უდიდესი კავშირი აქვს პირველ რევოლიუციასთან. სწორედ 1905 წლის რევოლიუციის დროს პირველად შესდგა მუშებისაგან შეიარაღებული ძალები, რომლებიც დაუნდობლად ებრძოდენ მეფის მთავრობას თავისუფლების მოსაპოებლად.

როცა 1905 წელს 9 იანვარს (ძველი სტილით) „მამა-მეფესთან“ მისულ პეტროგრადის მუშებს, მძიმე მდგომარეობის შემსუბუქების მაგივრად, თოფისა და ტყვიამფრქვევთა ცეცხლით გაუმასპინძლდენ, მუშათა კლასმა ამის შემდეგ გამოახილა თვალები და მტკიცეთ სთქვა, რომ „მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშების საქმეაო“. მხოლოდ ეს განთავისუფლება კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მუშათა კლასი შეიარაღდება და გადამწყვეტ ბრძოლას გამოუცხადებს სისხლის მსმელ მეფის მთავრობას.

იანვრის ამ ცნობილ სისხლის ღვრის დღეებში ჩვენმა პარტიამ აიღო სწორი ხაზი და მუშათა კლასს მოუწოდა შეიარაღებისაკენ. ამხ. ლენინმა სწორეთ ამ „სისხლის კვირაში“ სთქვა: „მუშათა კლასმა სამოქალაქო ომის უდიდესი გაკვეთილი მიიღო. ხალხის შეიარაღება რევოლიუციონურ მომენტის ერთ-ერთ უახლოეს ამოცანად ხდება. მხოლოდ შეიარაღებულ ხალხს შეუძლია იყოს ხალხის თავისუფლების ნამდვილი დასაყრდენობი“.

პარტიის მესამე ყრილობამაც, რომელიც შესდგა 1905 წლის აპრილ-მაისში, დაადგინა; პარტიის ერთი უმთავრესი ამოცანაა, პროლეტარიატის დარაზმვა თვითმპყრობელობასთან უშუალო ბრძოლის საწარმოებლად სამხედრო შეიარაღებული აჯანყების გზით. ამავე ყრილობის დადგენილების თანახმად უნდა შემდგარიყო მუშათა კლასის პარტიის წევრთაგან განსაკუთრებული ჯგუფები. ამის შემდეგ პარტიამ დაიწყო მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. მოეწყო სამხედრო ორგანიზაციები, ჩამოყალიბდა მუშათა მებრძოლი დრუჟინები. იძენდენ რაც შეიძლება მეტ იარაღს.

სწორედ ეს მებრძოლი დრუჟინები და ჩვენში წითელი რაზმები 1905 წელში, წარმოადგენდენ მომავალი წითელი არმიის პირველ რაზმებს.

ამრიგად 1905 წლის რევოლიუციის დროს საძირკველი ჩაეყარა აგრეთვე ოქტომბრის გამარჯვების იარაღს, მის მონაპოვართა ერთგულ დამცველს —მუშურ-გლეხურ წითელ არმიას.

ამ მხრივაც 1905 წლის რევოლიუციის მნიშვნელობა მეტად დიდია მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვების საქმეში.

მ.




აფეთქებული გენერალი.

## 1905 წელი.
### პირადი მოგონებიდან.

წერილი პირველი.

I

რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში ცხრაას ხუთ წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს მუშათა კლასის და გლეხების პირველი მასიური აჯანყება იყო.

ხუთი წელი მუშათა განმათავისუფლებელი, მოძრაობის პირველი ძლიერი ტალღები იყო რომელმაც საგრძნობლად შეარყია მეფისა და მემამულეთა ბატონობა. მართალია, ხუთი წლის რევოლიუცია დამარცხდა გაშლილ ფრონტზე, მაგრამ მუშათა კლასს და მის ხელმძღვანელებს ბოლშევიკებს ბრძოლის იარაღი არ დაუყრიათ და განაგრძობდენ მუშაობას ახალი შეტევის მოსახდენათ.

### 1905 წელი.



მხ: ტ. ვლადიმიროვი.

გაფიცულებზე თავდასხმა.

ცხრაას ხუთი წლის რევოლიუციამ საუცხოვო გაკვეთილი მისცა მუშათა კლასს შემდეგი გამარჯვებისათვის, რაც დიდმა ოქტომბრის რევოლიუციამ დაგვანახვა. ამ წერილში შევეხები რევოლიუციონურ მოძრაობას მაშინდელ ქუთაისის გუბერნიაში და მასთან ჩვენი პარტიის ქუთაისის ორგანიზაციების მუშაობას ამხანაგებში, სადაც, როგორც, ერთი წევრი მეც ვღებდი მონაწილეობას.

ცხრაას ხირველი წლის უკანასკნელ რიცხვებში მე პირველათ მივედი არალეგალურ წრეში, სადაც ირიცხებოდა დაახლოვებით 15 ამხანაგი. ეს ამხანაგები ყველა ადგილობრივ ხელოსნებიდგან შესდგებოდენ; ზეინკალი, მღებავი, მკერავები თერძები და სხვები. აღნიშნული წრე კვირაში იკრიბებოდა ერთხელ შაბათობით, დალამების შემდეგ. წრეს ყავდა ხელმძღვანელი, რომელიც გვიხსნიდა და გვიკითხავდა სხვადასხვა შინაარსის პოლიტიკურ წიგნებს. ამ ჩვენს წრეს თავიდგანვე ხელმძღვანელობდა ამხ. ბარონ ბიბინეიშვილი, რომელიც იმ დროს სათავად-აზნაურო ბანკში მსახურობდა უბრალო მოსამსახურეთ. წრეში ისეთი კონსპირაცია იყო დაცული, რომ გარედ გამოსვლის შემდეგ ქუჩაში ერთად არ გავივლიდით რომ ვინმე პოლიციის მოხელეს არ შეენიშნათ. უსათუოდ თითო თითო ცალ-ცალკე უნდა წავსულიყავით საკუთარი ბინებზე. წრის მუშაობა მარტო ამით არ ისაზღვრებოდა.

ყველა წევრებს ევალებოდა ფარული პროპაგანდა ეწარმოებია ნაცნობებს და ნათესავებს შორის რის შემდეგ თუ დავრწმუნდებოდით მის პოლიტიკურათ კეთილ საიმედოობაში შემდეგ გადავცემდით პოლიტიკურ შინაარსის ბროშურებს და პროკლამაციებს. კიდევ ბევრი დაკვირვების შემდეგ შევიყვანდით წრეში. ზოგჯერ გამოცდებსაც უკეთებდით. მაგალითად გან... გებ ვეტყოდით ამ საღამოს კრებაზე უნდა წავიდეთო. თუმცა იმ ღამეს არავითარი კრება არსად ყოფილა, მაგრამ ამით ვაკვირდებით მის საქციელს, თუ როგორ იმოქმედებდა მასზე კრებაზე წასვლა, დიეხარებოდა, შეეშინდებოდა თუ სხვა მიზეზს გამონახავდა კრებაზე არ წასვლისათვის. ასეთი ცდების შემდეგ დავრწმუნდებოდით, რა მის ერთგულებაში ვრიცხავდით წრეს წევრათ, რის შემდეგ აქტიურად უნდა დაეწყო მუშაობა.

(გაგრძელება იქნება)

ს. ლომიძე.

## 1905—1917

კიდით-კიდემდე სუფევდა სიბნელე;
მეფე—
თვითმპყრობელი, პირსისხლიანი
მაჯლაჯუნასავით აჯდა კისერზე მშრომელთ
და სწოვდა სისხლს
მის გამხდარ, გაძვალტყავებულ სხეულიდან.
სიბნელე,
წყვდიადი კაეშნიანი...
ცა მოებურა ტყვიასავით
მძიმე, შავ ღრუბლებს;
არ სჩანდა მზე,
მის სხივთ ვერ გაეპოთ
ღრუბელთა სიმძიმე.
ისმოდა კვნესა, გმინვა
მაშვრალთა
და
სიცილი, ხარხარი
ქვეყნის მყრობელთა.
და დადგა 1905 წელი.
მშრომელთა ზღვამ იწყო
ღელვა...
ტალღები თანდათან იზრდებოდნენ...
და გაისმა „გვეყო მოთმინება!
ძირს მტარვალნი!
ძირს თვით მეფე!
გაუმარჯოს
მშრომელთ ნებას!“
შეირყა ტახტი მეფის,
თავზარი დაეცათ ბატონებს
მაგრამ ძლიერი იყო
მტერიც.
ტყვიით,
მახვილით,
სახრჩობელით ჩაახშეს მშრომელთა ამაყი ნება.
მაგრამ სურვილი თავისუფლების ძლიერი იყო მათ გულში.
მშრომელთ შეიგნეს თავის ძალა,
მათ 1905 გამოსცადეს სიძლიერე
თვისი მკლავის
და დარწმუნდნენ
მის ძალაში.
დღესასწაულობდა მეფე-მტარვალი თვის
გამარჯვებას.
ირაზმეოდა, ძალას იკრებდა მეორე შეტევისთვის
მშრომელი.
და დადგა დრო,
დაჰკრა საათმა
შეტევისა.
ეს იყო 1917 წელში,
ოქტომბერში.
და გამარჯვება წილად ხვდა
მშრომელთ.

ე. ხუციშვილი.

## 1905 წ. თბილისში.

(ზოგიერთი ისტორიული სურათები მონაწილის დღიურიდან).

(გაგრძელება)

X

მთავრობა გარეგნულად ვითომც აღარაფერში ერევა, მაგრამ წამოახტუნა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“, რომელიც შესდგებოდა ჩინოვნიკების, გადაცმულ პოლიციელთა, ჟანდარმთა და მოხუცხალხისაგან, მღვდელ გოროდცევის და სხვათა მონაწილეობით, ისინი დადიოდენ ქუჩა-ქუჩა, იხდიდენ მეფის პარაკლისებს, დაჰქონდათ სამეფოოვანი დროშები, ხატები, მეფის სურათები, და „ღმერთო ჰფარვიდე მეფეს“ გალობით ახდენდენ პოგრომებს...

ერთი ასეთი მოხდა 22 ოქტომბერს, გოლოვინის (ეხლა რუსთველის) პროსპექტზე, მათ მოახდინეს პროვოკაციული გასროლა, ისინი მიესიენ ვაჟთა პირველ გიმნაზიას, დახოცეს 10-დე მოსწავლე ბავშვები, აიკლეს შენობა, ქუჩაში მოსეირნე ხალხი დახოცეს, აწიოკეს, დაამტვრიეს მაღაზიები, დაიტაცეს საქონელი და სხვა...

ისინი იყვნენ შეიარაღებულნი, მათთან შეჯახებას შეგნებულად გაურბოდა თბილისის პროლეტარიატი და, ამ დღეს, ნაძალადევში იყო დიდი მიტინგი, რომელიც ამ ამბის შემდეგ გამოემართა ქალაქისკენ, მაგრამ გზაში ჯარი გადაეღობა, არ გამოუშვა...

რა ხულიგანთა პროცესია დაიფანტა აქა-იქ, უბნებში მაინც მოიმწყვდიეს ისინი მუშებმა, სცემეს, მეფის სურათები დაუხიეს, დროშები წაართვეს...

რევოლიუციონური მოძრაობა გაძლიერდა...

ასეთივე ცნობები მოდიოდა როგორც რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან, ისე ამიერკავკასიის და საქართველოს მრავალ მხრიდან...

თბილისის მუშები თავის სიმაღლეზე იდგენ...

ისინი იარაღდებოდენ...

ყოველ უბანში იყვნენ სამხედრო დრუჟინები, რომელიც აჯანყების ცენტრს--ნაძალადევს მისდევდენ...

XI

ქალაქის ფაქტიური პატრონი და ხელმძღვანელი თითქმის მხოლოდ-და ნაძალადევის ბიურო, ყველა მას უწევს ანგარიშს, ყველა მას ეკითხება მთავრობა გარეგნულადაც აღარა სჩანს...

ამის დასამტკიცებლად შეიძლება თუნდაც იმ ფაქტის მოყვანა, რომ ერთ დღეს, ერევნის მოედანზე იკრიბება მთელი თბილისის ჯიბგირების და ქურდების მიტინგი, სადაც ისინი ერთი მეორეს მოუწოდებენ, რომ ამიერიდან უკვე მუშა ხალხი ეპატრონება ქვეყანას, სირცხვილია ჩვენი ხელობის განაგრძობა, ჩვენც შევუდგეთ პატიოსან შრომით ცხოვრებასო...

ისინი ირჩევენ წარმომადგენლებს და გზავნიან ნაძალადევში, სადაც ფიცს აძლევენ, რომ თუ ამის შემდეგ ქალაქში ქურდობა, ჯიბგირობა მოხდა ჩვენა ვართ პასუხისმგებელნიო.

და, მართლაც, ვიდრე შემდეგ წელს რეაქცია არ გაძლიერდა, როდესაც ბნელმა ძალებმა კვლავ წამოჰყვეს ..., ნამდის ქალაქში არსად მომხდარა ქურდობა—ჯიბგირობა, და თუ მაინც ჰქონდა აქა იქ ადგილი, მას თვით ხალხი ასამართლებდა, გამურავდენ, ვირზე შესვამდენ და ისე ჩამოატარებდენ ქუჩაზე, სახეში აფურთხებდენ და აყვირებდენ თუ რაც ჩაიდინა...

XII

მთავრობას არ შეეძლო დიდხანს დაყურება, ხალხის ასე გათამამება, და მისი პროვოკაციით აქაც იფეთქა თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტამ.

იარმუკაში მოჰკლეს მოხუცი მეჩაიე სპარსელი, დაშნაკმა მოჰკლა მასთან დილით წყლის მიმტანი მეთულუხე, თათრებმა ამის საპასუხოდ მოჰკლეს რომელიღაც სომეხი მედუქნე და, დაიწყო...

სომხების ძალები სჭარბობდენ, დაშნაკელთა ხუმბები (რაზმები) უშენდენ ავლაბრის მხრით და ბოტანიკურ ბაღის ციხის ნანგრევებიდან...

ქალაქში ხმა გავარდა, რომ მოდის ხუთასი ბორჩალოელი ...რი თავისიანების დასახმარებლად...

მთავრობა შეფიქრიანდა, მისმა მოწყობილმა საქმემ საშიში ხასიათი მიიღო, მთელ დღე და ღამეებს სროლაა, ვერაფრით შეარიგა მოწინაამდეგენი და მიმართა ნაძალადევის ბიუროს ჩარეულიყო ამ საქმეში, ეკისრა შუამავლობა და არსენალიდან გადასცა 500 ნახევრად ჟანგიანი ბერდანის თოფი...

ნაძალადევის ბიურო ისედაც სცდილობდა ამ საქმის მოგვარებას, იწვევდა სათათბიროდ ორივე მხრის წარმომადგენლებს, ეხლა მისი შეიარაღებული დრუჟინებიც გაემართნენ თათრის მოედნისკენ, ააგეს ბარიკადები, ნაბრძანები აქვთ რომ არაბ შემთხვევაში არ ესროლონ მოწინააღმდეგეებს, შეარიგონ, ერთი მეორეზე არ მიუშვან...

მშვიდობიანი მცხოვრები სომხები თათრის უბანში და თათრები სომხთა უბანზე გავლით, დრუჟინიკების მფარველობით გადადიოდენ...

ბორჩალოელთა რაზმი მოადგა ბარიკადას, ისინი მოითხოვდენ შუაბაზრისკენ გაშვებას, სომხების დასაჟლეტად, მაგრამ ბარიკადა არ უშვებს, წინადადებას აძლევს უკან გაბრუნებისას, რაიც სისრულეში მოჰყავს, მაგრამ იქიდან გამოსროლილი ტყვია ერთ დრუჟინიკს ჰკლავს. (რაჟდენ სტურუა).

შერიგება ხდება.

აქ დაიკარგა კიდევ სამი დრუჟინიკი (ტორიკაშვილი და სხვები), რომელიც ბოლოს გამოირკვა, რომ თათრებს (მეტრაქტირე ალი-ბალიას რაზმი) დაეხოცათ და მტკვარში გადაეყარათ.

ს. ერთაწმინდელი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

## წითელ ყაზარმის სამზადისი 1905 წ. რევოლუციის 20 წ. თავის ჩასატარებლად.

### როგორ ვხვდებით 1905 წ. რევოლ. 20 წ. თავს

3-მე ლეგიონი.

10 დეკემბერს 3-მე ლეგიონში იქნა პოლიტხელების, კომუჯრედის მდივნების, კლუბის უფროსის და ბიბგამგის შემადგენლობით სხდომა, რომელზედაც უნდა გამომუშავებულიყო 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებელი გეგმა.

სხდომამ გამოიმუშავა შემდეგი 17 და 18 დეკემბერი დაეთმო პოლიტსაათს ორი საუბრისათვის. ყველა პოლიტხელებს დაევალა აწარმოონ ლენკუთხეებში 1905 წლის რევოლიუციის შესახებ ლიტერატურის ხმამაღალი კითხვა. კომუჯრედების ღია კრებებზე კი დაწვრილებით შუქდებოდეს აღნიშნული რევოლიუციის მნიშვნელობა. მიეცა სათანადო დირექტივები აგრეთვე კლუბს და ბიბლიოთეკას. ჩატარებისათვის 19 დეკემბრის საზეიმო სხდომის სამოქალაქო ორგანიზაციების კომუჯრედებთან ერთად, გამოყოფილი იქნა სათანადოთ მომზადებული ამხანაგები. ამავე დღისათვის ლეგიონის ლენკუთხეები გამოყოფენ ერთ ლენკუთხეს და მოაწყობენ შესაფერი ლოზუნგებით, პლაკატებით და ლიტერატურით.

19 დეკემბერი ჩვენთან დიდი ზეიმით იქნება ჩატარებული.

პოლიტხ. გოგიტიშვილი.

### 1905 წ. რევ. 20 წლის სადღესასწაულო სამზადისი ჩვენთან.

1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის ჩასატარებლად მთელ ყაზარმაში დაიწყო გაცხოველებული მუშაობა. როგორც წითელარმიელები, ისე უფ. პოლიტ-შემადგენლობა დიდ მეცადინეობაში არიან. ამ დღისთვის ამოქმედდა ჩვენს ნაწილში კლუბი, სამკითხველო, ბიბლიოთეკა, ლენკუთხეები და სხვა.

კლუბი სცდილობს, რაც შეიძლება წითელარმიელთა ფართო მასებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს დღესასწაულის ღირსეულად ჩატარებაში.

კლუბთან არსებული წრეები თავის მუშაობას უფარდებენ 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავს. პოლიტ-წრე აწყობს გასამართლებებს, დრამ-წრე ემზადება რევოლიუციის მოსაგონარ ინცენიროვკის დასადგმელად. საერთო განათლების წრე და სხვა წრეებიც ამ დღისთვის ჯამს უკეთებენ თავის მუშაობას.

სამკითხველომ გამოყო ამ დღისთვის წიგნები და ბროშურები, მოიწვია ლენკუთხეების აქტივი და გააცნო ამ დღის უდიდესი დანიშნულება. წინასწარ მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ჩვენი ლენ-კუთხის აქტივი, ლენ-კუთხის გამშვენიერებასა და საუბრების ჩატარების სახით.

ამ დღისათვის გამოდის კედლის გაზეთი, რომელსაც თითქმის უპარტიო არმიელები სცემენ. კომუჯრედები და სხ. კომკავშირის ჯგუფები დიდ დახმარებას უწევენ უპარტიო წითელარმიელებს ამ მუშაობაში.

სამხკორი ტ. ხეველი.

### სამხედრო პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

(საკლუბო მუშაობა).

საკლუბო მუშაობა სამხედრო პოლიტსკოლაში მიმდინარეობს ორი გზით: კურსანტები ემზადებიან სკოლის გარეშე მუშაობისთვის და თვით სკოლაში აწარმოებენ საკლუბო მუშაობას. ვინაიდან სკოლის დამთავრების შემდეგ კურსანტები თვითონვე ჩაუდგებიან სათავეში საკლუბო მუშაობას, ამისთვის საჭიროა, რომ სკოლამ აღჭურვოს ისინი სათანადო მომზადებით. კლუბი თავის მხრივ სცდილობს მისცეს მათ საჭირო ცოდნა. ხელს უშლის ამ საქმეს ერთი გარემოება: არა გვაქვს შესაფერი ლიტერატურა როგორც სახელმძღვანელო, ისე მეთოდიური.

კლუბთან ამ ჟამად არსებობს 8 წრე. კურსანტთა შემადგენლობის უმრავლესობა ჩაბმულია მუშაობაში.

თითეულ წრეს ჰყავს საკუთარი გამგეობა, აქვთ სამეცადინო გეგმა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლექტორთა და მეთაურთა შემადგენლობა მხურვალე მონაწილეობას იღებენ საკლუბო მუშაობაში. მასიური მუშაობა ჯერ-ჯერობით არ სწარმოებს, ვინაიდან შენობა არ არის მზად.

წრეები ამ ჟამად ემზადებიან კლუბის საზეიმო გახსნისთვის, რომელიც მოხდება 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავზე.

ი—ა.

### ჩვენც განვაახლეთ მეცადინეობა.

მეთაურთა სკოლის უმწყობრო გუნდი.

მეთაურთა სკოლის უმწყობრო გუნდის არმიელები უკვე შეუდექით პოლიტმეცადინეობას. ყველა მონდომებულია, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიიღონ. მართალია მუდმივი საქმიანობა ცოტა ხელს გვიშლის მეცადინეობაში, მაგრამ თავისუფალ საათებში ჩვენთან ისევ მოდის პოლიტხელი და მართავს საუბარს. ამნაირად დანაკლისს ვავსებთ თავისუფალი საათებით. მადლობის ღირსია პოლიტხელი, რომელიც არ იზარებს და სისტემატიურად დაიარება ჩვენთან საუბრების ჩასატარებლად.

უკანასკნელ საუბარზე პოლიტხელმა გაგვაცნო ლენინის კუთხის მნიშვნელობა, განმარტა თუ რა როლს თამაშობს კლუბი წითელ არმიელთა განვითარებაში და მრავალი სხვა.

სამხკორი დ. მსწრ.

### ენერგიულად სწავლობენ წერა-კითხვას.

1-ლი ლეგ. 4 ხე ასეული.

ასეულში დეკემბრის პირველ რიცხვებიდან დაიწყო სისტემატიური მეცადინეობა პოლიტიკურსა და სამხედრო საგანმანათლებლო საქმეში. პირველ ხანებში მეცადინეობას ვერ ეკიდებოდენ ახალწვეულები მაინცდამაინც ხალისიანად, რადგან უმეტესობა მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარები იყვნენ, მაგრამ როდესაც დაიწყეს მათთან წერა-კითხვის სწავლება და გაიცვნეს მისი გემო, მათი დაინტერესება ძლიერ გამოცოცხლდა და ენერგიულად მოჰკიდეს ხელი მუშაობას.

ამხანაგები დაყოფილი იქნენ ჯგუფებათ. ჯერ-ჯერობით გადიან წერა-კითხვას და ანგარიშს. მეცადინეობის შემდეგ, თავისუფალ საათებში ვგროვდებით ლენინის კუთხეში და ვისმენთ ხმამაღალ კითხვას.

მალე ჩვენი ახალწვეულები შესაფერ ცოდნას მიიღებენ წითელ ყაზარმაში.

წ. არმ. ლ. მელაძე

### ბატარეია გამოცოცხლდა.

1-ლი არტლეგიონი.

1-ლ ბატარეიაში პირველად ვერ იყო საქმე კარგად დაყენებული. გვინდოდა ხშირად გაგვემართა საუბრები, მაგრამ ხელს გვიშლიდა უსინათლობა. უკანასკნელ ხანებში ეს ნაკლი დაძლეულ იქნა. გვაქვს ელექტრო-განათება. საღამოობით ლენკუთხეში სისტემატიურად სწარმოებს საუბრები. ახალწვეულები დიდ უნარიანობას იჩენენ ამ მხრივ. იკრიბებიან ლენკუთხეში საღამოობით და საუბრის ჩამტარებელს აძლევენ მრავალ საყურადღებო შეკითხვებს. არმიელების სიმრავლის გამო გაზეთები არ გვყოფნის, რისთვისაც ამხანაგებმა გადასწყვიტეს გამოიწერონ რამოდენიმე ცალი გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ და გაზ. „წითელი არმიელი“.

წ. არ. აკაკი გოგავა.

### გაგვიხსნეს კოოპერატივი.

მე-6 ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონს არ ჰქონდა კოოპერატივი, რაც თავის დაღს აჩენდა ნაწილს, როგორც იქნა გასჭრა ჩვენმა მოთხოვნამ და დაგვიარსეს კოოპერატიული დუქანი. კოოპერატივში ბლომად მოიპოვება აუცილებელი და პირველმოთხოვნილების საგნები, მაგრამ ერთი გარემოება მაინც არ გვაძლევს საშუალებას ყოველთვის ვისარგებლოთ დუქნიდან. საქმე იმაშია, რომ თუ ნაღდი ფული არ გვექნა ისე კოოპერატივიდან საქონელს არ გვაძლევენ. ეს გარემოება კი იძულებულს ხდის ამხანაგებს ისევ კერძო ვაჭრებს მიმართონ, რადგან ისინი ნისიათ გვაძლევენ საჭირო საქონელს.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. საჭიროა კოოპერატივმა ხელი მოუმართოს ამხანაგებს და ნისიათ გასცეს საქონელი, თორემ მისი ნაწილში არსებობა სრულიად კარგავს აზრს.

სამხკორი შ—ლი.

### 3-მე ლეგიონის კლუბი.

4 დეკემბერს შესდგა ლეგიონის შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება კლუბის საქმიანობის, რემედასის მუშაობის და წერკუმსის საზოგადოების დაარსების შესახებ.

კლუბის ორი თვის განმავლობაში მუშაობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჭკადუამ, რომლიდანაც გამოირკვა შემდეგი: ორი თვის განმავლობაში კლუბს მოუწყვია ორჯერ ცოცხალი გაზეთი, უჩვენებია არმიელებისათვის კინო სურათები სამჯერ, გამოუცია ექვსი ნომერი კედლის გაზეთი. მოუწყვია ორი ექსკურსია, ფეხბურთელთა შეჯიბრება ორჯერ და სპორტიული გამოსვლაც ორჯერ.

ლეგიონში ამ ჟამად არსებობს 15-ტი ლენკუთხე, რომლებსაც შესაფერ ხელმძღვანელობას უწევდა კლუბი. კლუბთან დაარსებულია შვიდი სხვა და სხვა ხასიათის წრეები. სამხკორთა წრეში ირიცხება 20 კაცი, 15 წითელ არმიელი და 5-თი მეთაური.

წრის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ჩათვლილი. სამხკორთა სემინარი საგრძნობლად მოისუსტებს თავის მუშაობაში, ასევეა ლიტერატურული წრეც. სხვა წრეები კი დამაკმაყოფილებლად მუშაობდენ.

სამხკორი კენჭაძე.

## წვევამდე მზადების წერტებზე.

### 4-ხე ლეგიონის წვევამდელთა შორის.

კამთისხევის წერტი.

11 დეკემბერს კავთისხევის წერტზე მოხდა ამავე წერტის წვევამდელთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენებები წვევამდელთა მოვალეობისა და 1905 წლის რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ. წვევამდელთა მოვალეობა ვრცლად გააშუქა ამხ. ვარდაშოვმა და მოუწოდა ამხანაგებს ღირსეულად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.

შემდეგ გაკეთებულ იქნა მოხსენება 1905 წლის რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ რუსეთის მუშათა მოძრაობისათვის. ამხანაგმა მოუწოდა დამსწრეებს შეისწავლონ ეს მოძრაობა, რომელმაც ასეთი როლი ითამაშა მშრომელთა გამოფხიზლებაში და ღირსეულად შეხვდენ რევოლიუციის 20 წლ. თავის აღსანიშნავ დღესასწაულს.

იყო შეკითხვები, რომელზედაც წვევამდელები მოითხოვდენ ვრცელ პასუხს.

დ. მკ— ძე

### ჩვენი მუშაობა წვევამდელებთან.

5-თე ლეგ. 3-მე ათასეული.

ლეგიონის მესამე ათასეული უკვე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. პირველი დეკემბრიდან ათასეულის ყველა წერტებზე (სულ 4-ხი წერტი აქვს) გაჩაღდა მეცადინეობა, რომელიც სისტემატიურად სწარმოებს. წვევამდელებში არ ყოფილა დეზერტირობის ერთი შემთხვევა, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობას ძლიერ დაშორებული სოფლებიდან უხდებათ სიარული.

სამხედრო მეცადინეობასთან ერთად წერტებზე დიდი ყურადღება ექცევა პოლიტსაუბრების ჩატარებასაც. ყველა წერტებზე დაარსებული იქნა ლენინის კუთხეები და გამოდის კედლის გაზეთები, რომლებშიდაც სიამოვნებით თანამშრომლობენ წვევამდელები.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ათასეულის წვევამდელები ენერგიული მეთაურების მეოხებით პირნათლად შეასრულებენ მათ დავალებებს.

წ. არმ. გ. პაპუაშვილი.

### მოსპეთ ნაკლულევანებანი

ჩვენსკენაც მოიხედეთ.

1-ლი არტლეგ. 2-ე ბატარეია.

ერთი და ორი შემთხვევა არ არის, რომ ყაზარმაში არ არის სინათლე.

ხანდახან განათდება ბინები, გვგონია, რომ გვეშველა, აწი მაინც აღარ ვიქნებით ბნელშითქო—გავიფიქრებთ, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ სინათლე ქვრება.

დროა მოგვექცეს ყურადღება და სისტემატიურად გვქონდეს განათება.

წ. არმ. გ. ჯახზამბარი.

ამათ რა დააშავეს?

2-ე საკავშირო ასეული.

ჩვენს ნაწილში კურსებზე პირველი ლეგიონიდან მოვლენილი არიან რამოდენიმე წ. არმიელი საკავშირო საქმის შესასწავლად. ყველა ნაწილებმა მიიღეს საზამთრო ტანსაცმელი და ეს ამხანაგები კი ისევ ბანაკად ყოფნის დროს შემოხეულ ძველ ტანსაცმელში არიან.

სიცივით იხოცებიან. ან გადაგზავნონ ეს ამხანაგები თავიანთ ნაწილში და ან დააკმაყოფილონ ტანსაცმელით.

სამხკორი ვ. გორათელი.

## სამხკორის კუთხე

### როგორ უნდა აირჩეს კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია.

დღემდე ჩვენს ნაწილებში კედლის გაზეთების გამოშვებისა და მუშაობის ხელმძღვანელობისათვის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობას ირჩევენ კომუჯრედის (პარტ-ორგანიზაციის) საერთო კრებაზე.

მომავალში არჩევნების ეს სისტემა შეცვლილია. წითელ არმიელთა პრესის მომუშავეთა საკავშირო მესამე თათბირის მიერ. ამ თათბირის დადგენილების თანახმად კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეს (პასუხისმგებელ რედაქტორს) ნიშნავს, ასეულში, ასეულის კომუჯრედის ბიურო, ლეგიონში—ბიურო კოლექტივი. კოლეგიის დანარჩენ წევრებს, რიცხვით სულ თავმჯდომარეანად არა ნაკლებ ხუთ ამხანაგისა, ირჩევენ ნაწილის სამხკორთა საერთო კრებაზე. არჩეულ სარედკოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს ნაწილის პარტორგანიზაცია.

წვევამდელთა წერტებზე, სადაც არ არის პარტ-უჯრედები, სარედაქციო კოლეგიის ასეთი მეთოდით არჩევა შეადგენს კომკავშირის ბიურო-კოლექტივის მოვალეობას.

სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის ხელახალი არჩევნები ხდება ყოველ 6 თვეში ერთხელ.

არჩევნების ეს ახალი სისტემა გადაუხრელად უნდა იქნას შესრულებული ჩვენი ნაწილების პარტ-ორგანიზაციების მიერ.

მი.

# უცხოეთის არმიებში

**ინგლისელების პროექტი წყალქვეშა ნავების დამზადების აკრძალვისათვის.**

ამას წინად წყალ ქვეშა ნავი „M I“-ზე მომხდარი კატასტროფის გამო, ინგლისი ფიქრობს, სავსებით აიღოს ხელი მომავალში წყალქვეშა ნავების დამზადებაზე. ამ წინადადებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატებში. მთავრობის წრეები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ჯერ კიდევ ვაშინგტონის კონფერენციაზე იყო წამოყენებული ასეთი პროექტი, რომელიც უარყოფილი იქნა იმის გამო, რომ საფრანგეთი არ დათანხმდა. სენეტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბორამ და კომისიის წევრმა სვანსონმა მოიწონეს ეს პროექტი. ამის გამო როიტერის სააგენტო იუწყება: საზღვაო საქმეთა მდივანი ვილბური იტყობინება რომ, მისი სამინისტრო მიმართავს კონგრესს წინადადებით შესრულებული იქნეს „M“ ტიპის წყალქვეშა ნავების საამშენებლო პროგრამა. ასეთი ტიპის ორი ნავი უკვე დამთავრებულია. დარჩა კიდევ 3. ინგლისის წინადადებას ვილბური არ გამოეხმაურა.

**ესტონეთი აკეთებს გზებს.**

მომავალი წლისთვის ესტონეთის მთავრობა ჰფიქრობს მოუკეთებელი გზების შეკეთებას. პირველ რიგში შეკეთებული იქნებიან პირველი კატეგორიის გზები, რომლისთვისაც გადადებული იქნა 150 მილიონი მარკა.

**ლატვიის ფაშისტების დაძმობილება არმიასთან.**

ლატვიაში დაარსებულია ფაშისტური კავშირი „დათვების გამანადგურებლების“ სახელწოდებით. ნოემბერში რიგის მოედანზე გადახდილი იქნა კავშირის დღესასწაული დიდი ზეიმით, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდა ლატვიის არმიაც. აღლუმს დაესწრო სამხედრო მინისტრი ბანგერსკი, არმიის მთავარსარდალი გენერალი რადზინი, არტილერიის უფროსი გენერალი კალნინი და სამხედრო ნაწილების მთელი რიგი, რომლებმაც ცერემონიალური მარშით ჩაიარეს ფაშისტური ორდენის წინ.

## ამბები სოფლებიდან.

**ელექტრო მანქანის შეძენა.** სიღნაღის აღმასკომმა გადასწყვიტა შეიძინოს ელექტრო მანქანა ადგილობრივ ეოსადგურისათვის.

**კოოპერატივებში ჩაწერა.** გორის მაზრაში მთელი წლის განმავლობაში გლეხკომებს ჩაუწერიათ კოოპერაციაში 215 ღარიბი გლეხი.

**არჩევნებისთვის.** გორის მაზრის თემებში უკვე დასრულდა საარჩევნო სათემო კომისიების არჩევა.

**ტრაქტორები გლეხებს.** გორის გლეხკომებმა დაადგინეს აღძრან შუამდგომლობა რათა მათთვის გამოწერილ იქნეს ტრაქტორები გრძელვადიანი სესხით.

## ახალი ამბები.

— **არდადეგები.** განათლების კომისარიატის დადგენილებით საზამთრო არდადეგები სკოლებში დაწესებულია 25 დეკემბრიდან 11 იანვრამდე.

— **საარჩევნო კომისია.** დაარსდა ტფილისის სამაზრო საარჩევნო კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს ტფ. საბჭოს არჩევნებს.

— **ბაგირის (კანატის) გზა.** სატყეო ტრესტი მარელისის რაიონში სატყეო მასალის გადმოსაზიდათ აკეთებს 12 კილომეტრის სიგრძე კანალის გზას.

— **კურსები.** განათლ. კომისარიატი ხსნის მაზრებისათვის სკოლების ინსტრუქტორთა კურსებს.

— **ბრძოლა საქონლის ჭირთან.** ქალაქის აღმასკომმა მაზრაში საქონლის ჭირთან ბრძოლის მიზნით შეიძინა 2.500 მ. წამლეულობა.

— **შეღავათი უმუშევრებს.** საკავშირო შრომის კომისარიატის დადგენილებით იმ უმუშევრებს, რომლებიც მიემგზავრებიან სხვა ადგილებში, მიეცემათ შეღავათიანი რკ. გზის ბილეთი.

— **სახლების ასაგებათ.** გასულ წელს ქუთაისის საქსოვ ქარხნის საბინაო ამხანაგობას მიეცა 19 ათასი მანეთი.

## პასუხი შეკითხვებზე.

**წ. ა. ხ—ჩიას.** მოკლე ვადიანი შვებულება მიეცემა წ. ა. განსაკუთრებულ ოჯახურ მიზეზების გამო, რომელიც შემოწმებულ უნდა იქნეს აღმასკომის მიერ. (ბრძანება რევსამხსაბჭოს № 925—25 წ).

**ხინგავას.** როგორც საშუალო სასწავლებელ გათავებული ერთი წლის საშუალო მეთაურზე გამოცდების ჩაბარების შემდეგ, შეგიძლიათ წახვიდეთ უვადო შვებულებაში. ოჯახური მდგომარეობით არ იქნებით განთავისუფლებული. დახმარებისთვის მიმართეთ აღმასკომს.

**№ 1.** პარტსკოლაში აგვისტოდან იწყება მიღება. უნდა მიმართოთ თქვენს სამხკომს.

**ს. თოდრიას.** საზამთრო ტანისამოსს არიგებენ ოქტომბრიდან. გერგებათ.

**მახვე.** თუ გამოცდები ჩააბარეთ საშუალო მეთაურზე, მაშინ წახვალთ ერთი წლის შემდეგ უვადო შვებულებაში.

**გ. ვ—იას.** წითელ არმიელებს საოჯახო ულუფა არ ეძლევათ.

**დ. კილტავას.** წ. არმ. ოჯახები არ იხდიან საშემოსავლო სახელმწიფო გადასახადს (საკავშირო ცაკის დადგენილება 29 ოქტ. 1924 წ.) განთავისუფლებული არ იქნებით სამსახურიდან ოჯახური მდგომარეობის მიხედვით.

**ხარატაშვილს.** სამხედრო სამსახურში გაწვევიდან ერთი თვის განმავლობაში გეძლევათ დამხმარე სალაროდან დახმარება, შემდეგ კი არა.

**წ. ა. შე—იას.** მასწავლებლებს თანაშემწენი ეკუთვიან წითელ არმიელების კატეგორიას.

## წიგნების სარეკომენდაციო სია 1905 წლის რევოლიუციაზე.

**პოლიტიკური:**

რევოლიუციის მატიანე № 5 „ცეკა“ 1925 წ.
1905 წლის რევოლიუც. 20 წლის თავისთვის გვ. 362-366
„ „ № 4—5 (9—10) 1924
5 გვერდიდან 125 გვერდამდე.
„ „ № 4-1923 წ.
1905 წლის რევ. წითელი „დროშა“ გვ. 307
რევ. მატიანე 1924 წ. № 1 (6)
გურიის რესპუბლიკის ამბები.
1905 წლის 9 იანვარი ტ. „მნათობი“ 1925 წ.
მდიდარი მასალებია აღნიშნულ თემაზე.
ქლენტი თ. 1905 წელი გურიაში. ბათომი გაზ. „ფუხარას“ გამ. 1925 წ.

**მხატვრული:**

ქიაჩელი ლ.—ტარიელ გოლუა ტ. „საბჭ. კავკ.“ 1925 წ. გვ. 203
ეუგასპირელი—ტყის ძმები ტ. „განათლება“ 1919 წ. გვ. 115
ზოტიკე—ახალი ტალღები ტ. „წ. კ. სახ.“ 1920 წ. გვ. 294.
ლომთათიძე ჰ. თხუზულებათა 1 ტომი ტ. „სახელგამი“ 1925 წ. გვ...
„ „ „ II ტომი „ „ გვ.
1905 წლის 9 იანვარი ტ. „მნათობი“ 1925 წ. გვ.
„ჩირაღდანი“ № 21 1924 წ. რევოლიუციის მსხვერპლნი—ასლამაზიშვილი.
„ჩირაღდანი“ № 3—4 1924წ. ნაძალადევის არწივნი, ასლამაზაშვილის.
1917 წლამდე დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას ტ. 1923 წ.
„მნათობი“ № 8—9, 10 კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“ 1925 წ.
მდიდარი მასალებია გაზ. „წითელი არმიელის“ ნოემბრისა და დეკემბრის ნომრებში 1925 წ.
№№ 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266, 268, 269, 270, 275, 276, 280, 281, 282, 285.

დივბიბლიოთეკასთან არსებულ საბიბლიოგრაფიო ბიურო.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. კუტუბიძეს** (2-რე ლეგ). თქვენი წერილი კუტუბიძის შესახებ გადაეგზავნა პირველი დივიზიის შტაბს.

**ამხ. რომანოზ გოგიშვილს** (5-თე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „წითელ ყაზარმაში“ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. ჩხარტიშვილს** (1-ლი ლეგ.) წერილი „მადლობის ღირსია“, გაუშვით კედგაზეთში.

**ამხ. ბეკურაშვილს** (2-რე ლეგ.) თქვენი წერილი გადაეგზავნა ლეგიონის სამხედრო კომისარს.

**ამგ. ამხ. ვასილიძეს და კურტანიძეს:** თქვენი კორესპონდენციები გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. ს. იმნაიშვილს** (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილი „როგორ გვიხდება პოლიტსაათის ჩატარება პირველ ლეგიონში“ გადაეგზავნა ჟურნალ „სამხედრო-პოლიტიკურ მოამბის“ რედაქციას ქალაქ ქუთაისში.

**ამხ. მომაშალს** (პოლიტსკოლა) თქვენი კორესპონდენცია სკოლაზე არ გამოდგა. შიგ არაფერი არ არის საყურადღებო.

**ამხ. ლელვნელს.** (მეთაურთა სკოლა). თქვენი წერილი „მოგვაშორეთ ასეთი მაცდური“ გამოდგება კედლის გაზეთში.

**ამხ. ცხენ. ნალს.** (ცხენ. ლეგ.). თქვენი კორესპონდენცია „კაზნაჩეის“ შესახებ გადაეგზავნა ლეგიონის მნეს ზომების მისაღებად.

**ამხ. გ. ჟვანიას.** (მე-3 ლეგ.). თქვენი კორესპონდენცია „საკავშირო ოცეულის“ შესახებ გაუშვით კედლის გაზეთში.

**ამხ. ნაპერწკალს.** თქვენი წერილი „ორი აზის სხივი“ არ გამოდგა. სწერეთ არსებითად და გასაგებათ.

**ამხ. მოტყუებულს.** (პოლიტ. სკოლა). კორესპონდენცია „რატომ გვატყუებენ“ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთში.

## უცხო სიტყვების ახსნა

**კონსპირაცია**—საიდუმლოება; საიდუმლო შეთქმულობა.
**დირექტივა**—ხელმძღვანელობითი დარიგება.
**ფუნქცია**—საქმიანობა, ვალდებულება, თანამდებობა, დანიშნულება.
**ოპერაცია**—სამხედრო საქმეში ჯარის საომარი მოქმედება.
**ოპერატიული**—აღმასრულებელი ხასიათის მოქმედება.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ. ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-8 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. გძელიშვილი ვანოს—(მეთაური. უპარტიო) და 2. არჩუაშვილი ნიკოლოზს—(მეთაური. კ. კ. წევრი).

კანდიდატებს—პარტიის წევრებად გადარიცხვაზე:

1. მაისურაძე ალექსანდრეს (მეთაური). 2. ენუქიძე გალაქტიონს (მეთაური).

ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათი მიღების შესახებ გთხოვთ შემოიტანოთ განცხადება წერილობით ან გვაცნობოთ სიტყვიერად მე-8 ასეულის კომუჯრედში.

კომუჯრედის პას. მგ. მ. ა მურადოვი

# განცხადებები


მიიღება **ხელის მოწერა** ჟურნალ

**„ჩვენ აღმშენებლობა“-ზე**

(ტფილისის საბჭოს ორგანო)

1926 წლის იანვრის თვიდან.

ჟურნალი გამოდის ყოველთვიურად ქართულ და რუსულ ენაზე, ცალ-ცალკე.

**ჟურნალი თავის მთავარ ამოცანად ისახავს ქალაქის და საზოგადოდ ჩვენი მეურნეობის საკითხების გაშუქებას.**

ჟურნალში თანამშრომლობისათვის მიწვეულნი არიან საუკეთესო ადგილობრივი ლიტერატურული ძალები. ამას გარდა ჟურნალს ჰყავს აგრეთვე თანამშრომელი—კორესპონდენტები საბჭოთა რუსეთში და საზღვარ გარეთ.

**ხელის მოწერის პირობები:**

| | ტფილისში მიტანით | პროვინციაში გადაგზავნით |
|---|---|---|
| 1 თვით | —50 კ. | —70 კ. |
| 3 „ | 1 მან. 40 „ | 2 მან. |
| 6 „ | 2 „ 60 „ | 3 „ 80 „ |
| 9 „ | 3 „ 80 „ | 5 „ 60 „ |
| 12 „ | 5 „ | 7 „ 40 „ |

**განცხადების ფასი:**

| | |
|---|---|
| 1 გვერდი | 50 მან. |
| 1/2 „ | 30 „ |
| 1/4 „ | 20 „ |

მრავალჯერ დაბეჭდილი განცხადებების ფასი დაკლებულია.

კანზე განცხადებები ფასი 100% ძვირია.

ცალკე ნომერი ყველგან 60 კაპ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია: აკ. წერეთლის ქ. (ყოფ. გახოვის) № 2 ოთახი № 21, ტელ. № 8—82 (ტფილისის აღმასკომის სტატისტიკურ-ეკონომიური განყოფილება).

ხელის მოწერა და განცხადება მიიღება დილის 9 დან ნაშ. 3 საათამდე ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა.


## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის.

**დაიკარგა** მეტრიკული მოწმობა № 507 ნიკოლოზ თურმანიძის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.